


**„აკურთხე გვიგვიანი ამის ნელისაღისა  
სიტკოეხითა უენითა, უფალო!..“**



**მუნიციპალიტეტის საინფორმაციო განყოფილება №24(62) 2013 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი**

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს**

**ილია ზიაშვილს!**



**უ**ობა-ახლი წლის დადგომას და დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ილია!

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მზევრძობას! კვლავაც თქვენეული პირდაპირობით, გაბედულად გეცქიროთ ცხოვრებისათვის თვალეში, წუთისოფელში ნუ მოგკლებოდეთ „საჯაფ-საბრძოლოც“ და ყოველთვის გამარჯვება გეხეიმოთ! მრავალი ადამიანის საყრდენი და იმედი ხართ. ღმერთმა და-

გლოცოთ, გაგაძლიეროთ და არასოდეს მოკლებოდეს საგარეჯოელებს ქართველი კაცის თქვენეული სიყვარული, თანადგომა და მზრუნველობა! მრავალძალიანია ქართველი კაცის მოდგმა და ჯიში, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ თქვენს ღამას, ქართული ტრადიციების უღალატო ოჯახთან ერთად! მრავალუამიერ!!!

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა*

*განყოფილება „გარეჯოს მაცნე“ რედაქცია*

**კვირფასო თანამემამულეო!**

**ს**აგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს გილოცავთ დამდეგ 2014 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, დიდ გამარჯვებებს, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საქართველოს სასიკეთოდ საკეთებელ საქმეებში. კურთხეულ იყოს 2014 წელი საქართველოსთვის და თქვენი, თითოეულის ოჯახისათვის. მშვიდობა ყოფილიყოს ქვეყნად და კაცთა შორის სიყვარული, რამეთუ მშვიდობა და სიყვარულია დვრიტა ღირსეული ცხოვრებისა, შრომისა და ბედნიერი მომავლისა. მოვა დრო და კვლავ გაერთიანდება ჩვენი მამული, მოიშუშებს ტკივილს და ღმერთმა ინებოს, 2014 წელი საქართველოს გამთლიანების – აფხაზეთისა და სამხაბლოს შემოერთებისა ყოფილიყოს!

გამარჯვებებისკენ მიმავალი გზა შრომით იკაფება და იჭედება. ვინ, თუ არა კახელმა, იცის შრომის ფასი და ყადრი. შრომის სურვილი, გარჯა, ხვაეი და ბარაქა არ მოგიშალოთ უფაღმა, ყოველთვის გქონოდეთ მოყვასის სიყვარული, გაჭირვებულის დახმარების სურვილი და სიკეთის ქმნის შესაძლებლობა.

*საპარტიველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი*

*ტის ბიურო;*

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო;*

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა*



**განყოფილება  
საინფორმაციო**

**გილოცავთ დამდეგ 2014 წელს!**

სოფლის მეურნეობა

2013 – წარმატებული წელი

სოფლის მეურნეობა



მეურნეობის დარგების განვითარებას. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადებამ დადებითი შედეგი მოგვცა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. კერძოდ, წარმოებული იქნა 8722 ტონა ხორბალი, 1670 ტონა ქერი.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა საგაზაფხულო პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო ხელშეწყობას, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გაზრდას. კერძოდ, წარმოებული იყო 11916 ტონა სიმინდი, 1062 ტონა მზესუმზირა, 16742 ტონა ბაღყეული კულტურები და სხვა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ისეთი ტრადიციული დარგი, როგორცაა მეფენახეობა. სულ ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 4006 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენი, 3681 ტონა საფერავი, 1275 ტონა მანავის მწვანე. სულ მუნიციპალიტეტში 2013 წელს 17 ათას ტონაზე მეტი ყურძენი იქნა წარმოებული. ყურძნის დროულად მიღება-გადამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტში არსებული ღვინის ქარხნებმა: მათ შორის შპს „აგხეთი-3000“ (დირექტორი გ. ერბოწონაშვილი), სააქციო საზოგადოება „ბადიაური“ (დირექტორი თ. გუგუშვილი), შპს „ბატონო“ (დირექტორი გ. დეკანოზიშვილი) და სხვებმა. მაღალი მოსავლის მიღებაში და მის დროულად აღება-

დაბინავებაში დიდი როლი შეასრულა შპს „მექანიზატორმა“ და მისმა ხელმძღვანელმა გია მარხვაშვილმა. მან და მისმა მექანიზატორებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. ზაფხულის გავლიან პერიოდში გამართულად მუშაობდა მუნიციპალიტეტში არსებული მეფლიორაციის სამსახური (ხელმძღვანელი თ. გრატიაშვილი), რომელთა მუხლჩაუხრელმა მუშაობამ ხელი შეუწყო საგაზაფხულო კულტურების მაღალ მოსავლიანობას.

დროული აცრების ჩატარებით და სხვადასხვა პროფილაქტიკური ღონისძიების გატარებით, მუნიციპალიტეტის მეცხოველეებს დროულ დახმარებას უწევდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები: ჯ. ოსიაშვილი, ნ. ბუზარიაშვილი, ლ. დათუნაშვილი. სამთავრობო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის საკითხებში გ. ბუჩაშვილი. მუნიციპალიტეტის მრავალმა ფერმერმა მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიების საჩვენებელ გამოფენაზე.

ჩვენი სამსახურის თანამშრომლების მიერ

მოძიებული და დამუშავებული იქნა მრავალი ოპერატიული ინფორმაცია, მათ შორის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ, 2013 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე დათესილი ფართობების შესახებ მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობების, მათი სავარაუდო მოსავლიანობის დადგენის და ა.შ. სამსახურის მთავარი სპეციალისტები აკ. დეკანოზიშვილი, გ. ათაბეგაშვილი, გ. მათიაშვილი, უფროსი სპეციალისტი გ. დვალი სოფლის მოსახლეობას და ფერმერებს მთელი წლის განმავლობაში აცნობდნენ ახალ ინოვაციებს, სოფლის მეურნეობაში მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს და შრომის ორგანიზების ახალ ფორმებს სოფლის მეურნეობაში.

მიმდინარე წლის განმავლობაში მაღალი მოსავლის მიღებით თავი გამოიჩინა ბევრმა ფერმერმა, მათ შორის არიან: ლადო მარხვაშვილი, ვანო ქველივიძე, თამაზ კეკელიშვილი, ტარიელ როსტომიშვილი, გონა აბესაძე, იურა სენიაშვილი, გელა ფხალაძე, თამაზ ქველივიძე, თამაზ სონიშვილი, გივი მათიაშვილი, ძაგული მათიაშვილი და სხვა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო რაიონის ხელმძღვანელობას და ქალაქის მერიას, სოფლის რწმუნებულებს, რომლებიც მხარში ედგნენ ჩვენს ახლადწამყვალბებულ სამსახურს.

6 ებისმიერი ქვეყნისთვის სასურსათო პროგრამების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების დონე.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. იგი ერთადერთი დარგია, რომელშიც დაბანდებული კაპიტალი, ან ინვესტიცია რეალურ მოგებას მოიტანს.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა ახალმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელსაც საფუძვლად უდევს კერძო მესაკუთრული უფლების არსებობა, ხელი შეუწყო სოფლის

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები –

აბრარული საქმის განვითარების მომავალი

საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ახალი კანონის მიღებამ ქვეყნის აგრარული დარგის განვითარებას მძლავრი სტიმული უნდა მისცეს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებით საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგება. თანამედროვე კაცობრიობა სოფლის მეურნეობის კოოპერაციის მრავალ ფორმას იცნობს, თუმცა ყველა მათგანი კოოპერატივების სახეცვლილებას. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო კომუნები მეურნეობის საერთო საკუთრების, შრომისა და მოხმარების თანასწორობის პრინციპებს ითვალისწინებს. საერთოდ, ევროპულ ქვეყნებში კოოპერატივების განვითარების 150 წლიანი გამოცდილება არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კოოპერატივები წარმატებით მუშაობენ, შესაბამისი ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზა აქვთ შექმნილი. აქ ისეთი ელემენტები აქვთ ჩადებული, როგორცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული შემოსავლები, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და სხვა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კანონის საფუძველზე იკვებება სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, პროდუქციის წარმოების განვითარება და მისი ორგანიზაციული განვითარება. ახალი კანონი ადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, როგორც იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების და საქმიანობის ხელშეწყობის ნორმებს, აგრეთვე განსაზღვრავს საქმიანობის დემოკრატიულ პრინციპებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, დამტკიცდა მისი დებულება.

სააგენტოს ფუნქციებში შედის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, დახმარება კადრების მომზადებასა და გადამზადებაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცემის მიზნით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, გამოფენების, სემინარების, შეხვედრების ორ-

განიხება და საზღვარგარეთ ორგანიზებული ანალოგიური ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი. ამ მიზნით სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია კოოპერატივებისა და მათ მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თაობაზე; საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად მიაგვლინოს უფლებამოსილი პირები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ადგილზე გასაცნობად. ამა წლის 20 დეკემბერს ჩვენთან ჩამოვიდნენ სააგენტოს ხელმძღვანელები, სოფელ გომბორში და ქ. საგარეჯოში მოხდა მათი შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან და დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კოოპერატივების შექმნა ნებაყოფლობით პრინციპს ეფუძნება, მის წევრებს ერთი ძირითადი მიზანი – პროდუქციის წარმოება აერთიანებთ.

მომავლის საკითხები

ვისაც ქართული სოფლის აგროსექტორის მომავალი აწუხებს, კარგად იცის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე წარმატების მიღწევა ძალზე ძნელია. საამისოდ კი ცხადია ფერმერთა შესაბამისი სწავლება-კონსულტაციებია საჭირო. ჩვენ ამ მხრივაც აქტიურად ვმუშაობთ. მსგავსი მომსახურება უკვე გაუწიეთ ასობით ფერმერს. მათ ვაცნობთ ახალ მიღწევებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებში. მინდა დამდეგი ახალი წელი მიველოცო ჩვენი მუნიციპალიტეტის ფერმერებს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს. ვუსურვო მათ შემდგომი წარმატებები იმ დიდ საქმეში, რასაც ქართული სოფლის აღორძინება პქვია.

60კო ჰანახიშვილი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.



ინფრასტრუქტურა – 2013





# „გთხოვ, მეუფეო, მომამადლე ხვალის იმედი და არ დღეები მარტოოდენ კალენდარული“



# 2014


	იანვარი					თებერვალი					მარტი					აპრილი				
ორშაბათი	6	13	20	27	3	10	17	24	3	10	17	24	31	7	14	21	28			
სამშაბათი	7	14	21	28	4	11	18	25	4	11	18	25	1	8	15	22	29			
ოთხშაბათი	1	8	15	22	29	5	12	19	26	5	12	19	26	2	9	16	23	30		
ხუთშაბათი	2	9	16	23	30	6	13	20	27	6	13	20	27	3	10	17	24			
პარასკევი	3	10	17	24	31	7	14	21	28	7	14	21	28	4	11	18	25			
შაბათი	4	11	18	25	1	8	15	22	1	8	15	22	29	5	12	19	26			
კვირა	5	12	19	26	2	9	16	23	2	9	16	23	30	6	13	20	27			
	მაისი					ივნისი					ივლისი					აგვისტო				
ორშაბათი	5	12	19	26	2	9	16	23	30	7	14	21	28	4	11	18	25			
სამშაბათი	6	13	20	27	3	10	17	24	1	8	15	22	29	5	12	19	26			
ოთხშაბათი	7	14	21	28	4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27			
ხუთშაბათი	1	8	15	22	29	5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28		
პარასკევი	2	9	16	23	30	6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22	29		
შაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23	30		
კვირა	4	11	18	25	1	8	15	22	29	6	13	20	27	3	10	17	24	31		
	სექტემბერი					ოქტომბერი					ნოემბერი					დეკემბერი				
ორშაბათი	1	8	15	22	29	6	13	20	27	3	10	17	24	1	8	15	22	29		
სამშაბათი	2	9	16	23	30	7	14	21	28	4	11	18	25	2	9	16	23	30		
ოთხშაბათი	3	10	17	24	1	8	15	22	29	5	12	19	26	3	10	17	24	31		
ხუთშაბათი	4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27	4	11	18	25			
პარასკევი	5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28	5	12	19	26			
შაბათი	6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22	29	6	13	20	27			
კვირა	7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23	30	7	14	21	28			

# „სისწრაფა ქართული სპორტსმენების მთავარი კოჩი, აქილევსის ქუსლი – გაგლოვა“ 2013 წლის გარეჯელ სპორტსმენტა საუბრისო ათეული



## 1. მსოფლიო ჩემპიონი კობა

**– ძიუდო**  
მსოფლიო ჩემპიონი კობა შორის აშშ, ქ. მაიაში – I ადგილი; ევროპის თასი ჭაბუკთა შორის, კიევი – II ადგილი; ევროპის ჩემპიონი კობა შორის, ტალინი – III ადგილი; საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის – III ადგილი.



## 2. კიბაპოლიტიკური თამაში

**– ძიუდო**  
საქართველოს ჩემპიონი კობა შორის – I ადგილი; ევროპის თასი ჭაბუკთა შორის, კიევი – I ადგილი; ევროპის ოლიმპიური ფესტივალი ჭაბუკთა შორის – II ადგილი; მსოფლიო ჩემპიონი კობა შორის აშშ, ქ. მაიაში – II ადგილი; ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის, ესტონეთი – III ადგილი; საქართველოს პირველობა დიდებში – III ადგილი.



## 3. კუჩაქაძე ირაკლი – სამბო

საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის, ერევანი – I ადგილი; მსოფლიო პირველობა ჭაბუკთა შორის, საბერძნეთი – II ადგილი.



## 4. ბიოტაბაძე მუტაზი – რაგბი

ევროპის ჩემპიონი



## 5. მამაკდაშვილი სიმონ – ძიუდო

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; ევროპის თასი ჭაბუკთა შორის, ანტალია – II ადგილი; ევროპის თასი ჭაბუკთა შორის, კიევი – III ადგილი; ევროპის ოლიმპიური ფესტივალი ჭაბუკთა შორის, პოლანდია – III ადგილი



## 6. ტატიშვილი ბედა – სამბო

საქართველოს ჩემპიონი; ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის – რიგში – II ადგილი



## 7. თეფიაშვილი სოლომონ – სამბო

საქართველოს ჩემპიონი; ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის – III ადგილი



## 8. ნანი შაშვილი

ჭადრაკი საქართველოს ჩემპიონი



## 9. კახიკაშვილი ბიორბი – თვისუფალი ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის – I ადგილი; საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში – II ადგილი



## 10. მამაკდაშვილი ზაურბი – სამბო

საქართველოს პირველობა სამბოში ახალგაზრდებში – II ადგილი; საქართველოს პირველობა ძიუდოში ახალგაზრდებში – III ადგილი;

ბია მარტოვიძე – აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორი:

## 2013 წელი – სააგლო და სელსგაგლო



საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სპორტის შემდგომი განვითარება, მასში ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმვა. ამ მიზნით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო ხანს გაიხსნა არაერთი დია სპორტული მოედანი. ჩვენი მუნიციპალიტეტი ამ სახით ერთ-ერთი მოწინააღმდეგე არა მარტო კახეთის სამხარეთში, ქვეყნის მასშტაბითაც. ხელშეწყობა მართლაც რომ დიდია – ყველა ასაკისა და სქესის მოზარდს შეუძლია ჩაება სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მრავალრიცხოვან შემადგენლობას დამსახურებულად შეუძლია საამაყო წარმატებები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე იმ წარმატებებით, რაც ჩვენ მოვიპოვეთ განვლილ ერთ წელიწადში. ამ წარმატებებზე მეტყველებს თუნდაც იმ 10 საუკეთესო სპორტსმენის მიღწევები, რომლებიც ისინი დღევანდელი კახეთის მთავრობის წინაშე იწოდებენ თავს. სპორტსმენებს ამ შედეგებისთვის ადვილად და მარტოვად არ მიუღწევიათ. მათ უკან დგანან მწვრთნელები, თანამებრძოლები, გაერთიანების თითოეული თანამშრომელი, მშობლები და ის ადამიანები, რომლებსაც მათ ხელი შეუწყველეს, შეუქმნეს ნორმალური პირობები და გარემო – გაჯანსაღებულ იყვნენ, ვარჯიშებით დაეხვეწათ თავიანთი სპორტული ბრობები. თუნდაც დავიწყეთ ხელშეწყობი პირობებით: სპორტული კომპლექსის სრულყოფილად

ამუშავება, რამაც ხელი შეუწყო ე.წ. „შეკრებების“ მოწოდება-ჩატარებაში, რომლებიც წინ უძღოდა ტურნირებსა და შეჯიბრებებს.

კომპლექსში ყველა პირობა შექმნილი ნორმალური ვარჯიშის, კვების, დასვენებისა და ძილისათვის.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტულ დარბაზებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მწვრთნელები, საგარეჯოს სპორტდარბაზში (უფროსი მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) იტყვება ის გამარჯვებები, რასაც თავად მამუკა მათიაშვილის, ნუკრი გაგინაშვილის, ლევან ბასილაშვილის, დევი რევაზიშვილის (ძიუდო), კახა ყორღანაშვილის (სამბო) მოსწავლეები აღწევენ სამხარეთ, შიდა ქართლის, თბილისის, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებსა და პირველობებში. ასევე დიდ წარმატებებს აღწევენ საგარეჯოს არასაუწყებო დაცვის შენობაში არსებული დარბაზის (უფროსი მწვრთნელი რამაზ ახაბაშვილი) მწვრთნელები დათო ბაბუნისძის, კობა საგინაშვილის, დათო ბუზარიაშვილის აღსაზრდელები. მწვრთნელები: მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგინაშვილი, თამაზ გოგინაშვილი, კახა ყორღანაშვილი კი ძიუდოში 8 გოგონასაც ავარჯიშებენ, რომელთაც თავიანთი წარმატებები საქართველოს მასშტაბით უკვე მოიპოვეს.

ასევე, თავიანთი აღსაზრდელების მიღწევებით შეუძლიათ იამაყონ გიორგიშინის (მწვრთნელები ბადრი ბასილაშვილი, გოდერძი მეყოიშ-

ვილი), პატარძელის (ტრისტან სუხაშვილი, ვაჟა კოტორაშვილი), პატარა ჩაილურის (როლანდ აღინაშვილი, თემურ როსტიაშვილი), კაკაბეთის (გია მასურაშვილი), მხისგულის (სოსო ჭიკაძე) სპორტული დარბაზების მწვრთნელებმა, ასევე ბადაურის კარატეს სექციამ (მწვრთნელი ვანო გვილოშვილი), უდაბნოს ძიუდოს (მწვრთნელი ირაკლი დადგანი) სექციებმა. 2013 წელს თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი ვანო გვილოშვილი, უდაბნოს ძიუდოს (მწვრთნელი ირაკლი დადგანი) სექციებმა. 2013 წელს თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი ვანო გვილოშვილი, უდაბნოს ძიუდოს (მწვრთნელი ირაკლი დადგანი) სექციებმა. 2013 წელს თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი ვანო გვილოშვილი, უდაბნოს ძიუდოს (მწვრთნელი ირაკლი დადგანი) სექციებმა.

მწვრთნელებს გვერდში უდგანან და მომავალი სპორტსმენების წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ვეტერან სპორტსმენებს ტარიელ როსტომაშვილს, ბიჭიკო მარტიაშვილს, თემურ კურდღელაშვილს, გოგი დიდგელაშვილს.

ასევე საამაყო ახლადგახადგმული კრივის სექციის (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე) მოკრივეთა ის წარმატებები, რასაც ისინი თითქმის ყოველ შაბათ დღეს აღწევენ თბილისისა და კახეთის კრივის რინგებზე, სადაც პირველობას არასოდეს თმობენ. მათ განკარგულებაშია სპორტული დარბაზი, სადაც ყველა პირობა შექმნილი მათი სამომავლო წარმატებებისათვის.

2013 წლის სექტემბერში კაკაბეთში გაიხსნა სამბისტ უშანგი კუჩაქაშვილის სახელობის დია სპორტული მოედანი, რომლის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან თინათინ ხიდაშელი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ვეტერანი სპორტსმენები, ღვაწლმოსილი მწვრთნელები, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობა დაესწრო. ამ სპორტულ მოედანზე უკვე ჩატარდა არაერთი ტურნირი, შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ჩვენი სპორტსმენები, ასევე სპორტსმენები სხვადასხვა მუნიციპალიტეტი

## გარეჯული სპორტი – 2013



კაკაბეთში, ღია სპორტული მოედანის გახსნაზე

ბიძანი. აღსანიშნავია „პატარძელის ვეფხეების“ – რაგბისტების მიღწევები. აქ გასულ, 2012 წელს რაგბისტთა მხოლოდ ერთი გუნდი იყო, ახლა კი უკვე ორი გუნდია, სადაც პატარძელელების გარდა არიან საგარეჯოელი, კაკაბელი, გიორგიშინიელი და ხაშველი მოზარდებიც. სექტემბერში პატარძელელები რაგბისტები საქართველოს I ლიგის გათამაშებაში ჩაებნენ. საამაყო გვაქვს ისიც, რომ ჩვენი რაგბისტები ჭაბუკთა ლიგიდან საქართველოს რაგბის აკადემიაში ჩაირიცხნენ – გიორგი მუნიციპალიტეტი, შოთა შალვაშვილი და ზურაბ თთიაშვილი. ასევე, საქართველოს რაგბის კავშირის სკოლის აღსაზრდელები არიან ლაშა მუნიციპალიტეტი და ოთარ ზუკაკიშვილი. ისინი საქართველოს რაგბის ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან. მურაზ გიორგაძეს საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრების შემადგენლობაში აქვს ნათამაშველი. არის ევროპის ჩემპიონი. 20 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა „ბორჯღალოსნებმა“ I ადგილი დაიკავეს და ამ წარმატებაში მურაზ გიორგაძის წვლილიცაა. დღეს მწვრთნელთა რანგში არიან „პატარძელის ვეფხეების“ რაგბისტები ვეფხია უსტიაშვილი, თენგიზ ნარიშკინი, ლადო უნაფქოშვილი, მურაზ გიორგაძე. ეს კი ბევრზე ბევრს ნიშნავს სამომავლოდ რაგბისტთა აღსაზრდელებად.

აღსანიშნავია ჩვენი ვეფხურთელების წარმატებები, რომლებსაც ისინი მწვრთნელებით



კაკაბეთის საჯიბრო მოედანზე

# „სისწრაფა ქართული სპორტსმენების მთავარი კოჩი, აქილევსის ქუსლი – გაქლოვა“

ბია მათაშვილი – აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორი:

წლის საუკეთესო მწვრთნელი  
მაიშა მათიაშვილი

## 2013 წელი – საამაყო და ხელშეწყობიანი

### დასასრული

ან გოგა და დათო მათაშვილებთან, რეზო ხე-ბრელაშვილთან, მალხაზ ნიკოლაძესთან ერთად აღწევს. ფეხბურთის საიდუმლოებებს ეუფლები-ან საგარეჯოელი, ბადაურელი, იორმუდანილო-ლი მოზარდები, მათ ყოველთვის მხარში უდგათ საფეხბურთო კლუბ „გარეჯოს“ მენეჯერი თემურ ხუციშვილი.

სამომავლოდ, 2014 წლიდან ფეხბურთის მოყვარულ მოზარდებს ყოველგვარი გადასახა-ლის გარეშე შეუძლიათ დაეუფლონ ფეხბურთის საიდუმლოებებს, ამასთან, სახისარულია, რომ ფეხბურთელთა მწვრთნელებს ხელფასები მიე-მართება. ეს დიდი ხელშეწყობაა ფეხბურთის შემ-დგომი განვითარებისათვის (ამერიკის საელჩომ გრანტის სახით გარკვეული თანხა გადმოგვი-რიცხა, რაც დაგეგმიზარა საგარეჯოს III საჯარო სკოლაში კალათბურთის სექციის (მწვრთნელი თორნიკე სინჯარაძე) და თხილეთის საჯარო სკოლაში ძიუ-დოს სექციის (მწვრთნელი ქართ-ლოს ტიგინაშვილი) დაფინანსებაში. ასევე იორ-მუდანილოში თავისუფალი ჭიდაობის (მწვრთნე-ლი დათო ნანუაშვილი) და ძიუ-დოს (მწვრთნელი მიშა ქურხული) სექციების დაფინანსებაში).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტს-მენებისათვის 105-ე სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში (დირექტორი სოსო მარხვაშვილი) ექიმების რეკომენდაციით მკურნალობენ ისეთ ბავშვებს, რომლებსაც ქვედა კიდურებისა და ხერ-ხემლის პრობლემები აქვთ.

შეგვიძლია თამამად საუბარი ჭადრაკის სექციების (მწვრთნელები: ელენე ფარეშიშ-ვილი, თენგიზ კობიაშვილი, ირაკლი ქელიძე) წარმატებებზე. ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები ზე-ლიხედ წარმატებებს აღწევენ, რომელთაგან შეგვიძლია დავასახელოთ ლალი გარსიაშვილი, ლევან დაბაშვილი, ნიკა კველიძე, ლუკა გურჯიძე, ეთუნა ხერხელაშვილი, ეკა ჭყონია, გიორგი იმნაძე... ჩვენი სახელგანთი ნანი უნ-



გარდამავალი თასი

აფსოშილი კი დეკემბრის ბოლო დღეებში საე-მირობში მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპ-ოვებისათვის იბრძოდა.

ოქტომბერში სპორტგაერთიანებამ ფრენბურ-თის მოედნის აღდგენა შეძლო საგარეჯოს ფეხ-ბურთის სტადიონის ტერიტორიაზე. სპორტის ეს სახეობა თითქმის მივიწყებული იყო. ათეული წლების წინ შეწყდა ფრენბურთის მოედანზე შეჯიბრებები, მაგრამ ოქტომბერში აქ გაიმართა საჯარო სკოლების ფრენბურთელთა შეხვედრე-ბი და შედეგით მუნიციპალიტეტის ფრენბურ-თელთა ნაკრების შედგენა.

დეკემბერში საგარეჯოს IV საჯარო სკოლის სპორტდარბაზში საქართველოს განათლები-სა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრთან ერთად ჩავატარეთ „მხი-არული სტარტები“, რომელშიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლის ნა-კრები გუნდები მონაწილეობდნენ. ყოველივე ეს კი სპორტის პოპულარიზაციისათვის არის გამომწვევი. წინ დიდი გეგმები გვაქვს. უპირვე-ლესი და მნიშვნელოვანია ის, რომ 2015 წელს ბავშვთა ოლიმპიადის ტარდება საქართველოში და საგარეჯოს სპორტგაერთიანების ხელმძღვან-ელობას და ჩვენს სპორტსმენებს გვაქვს დიდი სურვილი მონაწილეობის მიღების, თუმცა, ამისთვის საჭირო გახდება „შეკრებების“ ჩატარება, რაშიც ხელშეწყობას კვლავ ველოდებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც მოელი წლის განმა-ვლობაში მხარში გვედგნენ. ამისთვის მადლობა საქართველოს პარლამენტის წევრს საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან თინათინ ხიდაშელს, მუ-ნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს, გამ-გეობის ახალგაზრდულ და სპორტის მთავარ სპეციალისტს, სპორტსმენს ვია ხოსიტაშვილს, ვებერან სპორტსმენებს, ბიზნესმენებსა და ფერ-მერებს.

ჩვენი სპორტსმენების სახელით ყველას ვუ-ლოცავ დამდეგ ახალ წელს, სიკეთე და გამარ-ჯვებები დაგებუდოდეთ, საგარეჯოელებო!



საქართველოს ჩემპიონი ძიუ-დო-ში;  
საქართველოს ჩემპიონი სამბოში;  
საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში;  
სპორტის ოსტატი, საერთაშორ-ისო ტურნირების გამარჯვებულ-ორჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირების III ადგილის მფლო-ბელი.  
მწვრთნელად მუშაობს 2006 წლი-დან (ძიუ-დო).

### სპორტსმენები



ერთი შეხედ-ვით ჩვეუ-ლებრივი, ერთი ქართველი ბიჭია. ჩვეუ-ლებრივი და, თავისი თანა-ტოლების მს-გავსად სხარე-ული ვეგებუ-მის ამოსვლას, სკოლისკარების შესწნას, მას-წავლებლების შეფასებას, მეგობრებთან შეხვედრას, მა-გრამ, თქვენ თუ ერთი ჩვეუ-ლებრივი ბიჭი მართლა გგონიათ და ფიქრობთ, რომ 11 წლის ბიჭის ცხოვრებაში ცხოვრობს, ძა-ლიანაც შემცდარხართ. მერე რა, რომ 11 წლისაა?! გინახავთ ვინმე ამ ასაკში მსოფლიო ჩემპიონი საქართველოში, ანდა სხვა ქვეყანაში?! და თანაც სპორტის იმ სახეობაში, რომელიც მოელ მსოფლიოში პოპულარულია და მილიონობით მიმდევარი ჰყავს?! კარტე, სპორტის ის სახეობაა, რომლის დაუფლებაც ყველა ასაკის და ყველა სქესის ადამიანის ოცნებაა. სწორედ რომ კარ-ტეს საოცარ საიდუმლოებებს ეუფლება ჩვენი

## 11 წლის მსოფლიო ჩემპიონი

თანამემამულე, ამაჰმად თბილისში მცხოვრები დავით ლაფანიშვილი. დავითს ფეხები საგარე-ჯოდან აქვს. მისი პაპა დავითი საგარეჯოელია, სა-ითვის კარტეა ცნობილი სპორტსმენი, მოცეკ-ვავე, ქორეოგრაფი და ამავე დროს სხვადასხვა თანამედრობებზე ნამუშევარი პიროვნებაა, რომელსაც არც შეუძლია და ვერც შეძლებს საგარეჯოსთან კავშირის გაწყვეტას – აქ მას დიდი საგარეჯოელი და მშობლების განსახვერ-ბელი, თავისი ფუძე და კერა აკავშირებს. აქ გაიზარდნენ პატარა დავითის მამაც, რომელიც ბავშვობაში სპორტს მისდევდა და ბიძა ანიკოც, რომელიც ასევე სახელგანთქმული სპორტსმენია, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მან საქართველო გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, სწორედ იმ დროს ახასხელა თურქეთში, როცა ის-ის იყო საქართველო მსოფლიო არენაზე გადიოდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა – არჩილმა სტამბულში მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიპოვა. შემდეგ ძალები კიკბოქსინგშიც ცვდა და ადვილი არ იყო შედგახის მსოფლიოს მესამე პრიზიორობა. ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

„გუნდები არ იკარგება“ – უთქვამს ბრძენ კაცს და ეს მართლაც ასეა. სპორტს მიჰყვება ადამიანი, ეს პატარა ამაჰმად არ არის. აქ დიდი შრომისმოყვარეობა, მონღომბა, მოთმინება, რკინის ნებისყოფაა საჭირო, თანაც ისე უნდა გაანაწილო დრო, რომ ფიზიკურ გაჯანსაღებას-

თან ერთად, სულიერადაც უნდა გაიზარდო, არ უნდა მოწყვეტო სწავლა-განათლებას, ახლობლებს, მეგობრებს. მაგრამ დავითი ყველაფერს ასწავლავს, თანაბრად ანაწილებს დროს. ეგ არის, დრო იმ-დენი აღარ რჩება, გულიანად მოიბრბინოს თავისი მშობლიური საგარეჯო, თუმცა, როცა ჩამოდის, ყოველთვის ხელდასმუნებულია – აღარ ეტე-ვა მისი მედლით, სიგელები სახლში. ხანდახან საუბარში იქნებ გამოჩნდეს კიდევ ამა თუ იმ ტურნირში გამარჯვებაც, მაგრამ მედლით ხომ ახსენებს, რომელსაც სხვა მედლებთან ერთად კედელზე საპირველი ადგილი უკავია?! ამიერკა-კასიის, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის მონაწილე გამარჯვე-ბას გამარჯვებებსავე ჰეიმიობს. ახლაც, წლის ბო-ლოს იტალიაში, ქალაქ ბერგამოში გოჯი-ბიუ და მსოფლიო ჯიუ-ჯიუცუს ვედიით კარტეს მსოფლიო ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას. რაოდენ სასიხარულო და საამაყო ჩვენთვის, საგარეჯოელებისათვის, რომ ჩვენი თანამემამ-ულე დავითიც იმ 10 კაცთან ერთად საქარ-თველოს კარტისტთა ნაკრებში იყო, რომელსაც საქართველოს სახელი კიდევ ერთხელ უნდა შეესხენებინა მსოფლიოსათვის. და შეახსენა კიდევ – ქართველმა კარტისტებმა თავი ისახ-ელეს და მერე როგორ! დავით ლაფანიშვილმა ამ ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა. სიხარული და სიამოვნება განიცადეს ტრიუმფებზე მყოფმა დედამ და ბებიამაც. დიას, 11 წლის ბიჭმა საქართველო

### რეკონსტრუქციები

ახასხელა, თავისი ნიჭით, უნარით, შესაძლებლო-ბებით და იმ კოდით, რომელიც ქართველებშია ჩადებული – თავიანთი თავი და ნიჭი საქა-რთველოს მიუძღვნან. მსოფლიო ტურნირებსა და პირველობებზე მონაწილეობით არ შემოი-ფარვლებს დავითის სპორტი გარტეცა, ის იმ შემინარებსაც ესწრება, რომელსაც კარტეს მსოფლიო ვედიტის გამარჯვებული ატ-არებს საქართველოში, შემინარებსა და სპორტში გამომწვევი წარმატებებისათვის კარტისტებს სერტიფიკატებსა და ქაბრებს ანიჭებენ. ასეთი სერტიფიკატები ამშვენებს დათოს ოთახის კედ-ლებს, ხოლო ყავისფერი ქაბარი – მის წელს ასეა, – პრაქტიკულ ვარჯიშს, თორიული ცოდ-ნის გადრამაგებაც სჭირდება, ისე შეუძლებელია კარტეს სრულყოფილად დაუფლებული.

დიას, თბილისის ქუჩებში ამაყად, თავაწეული დადის საქართველოს მომავალი ჭირისუფალი და მეციხოვნე. 11 წლის დავით ლაფანიშვი-ლი საქართველოს ოთხჯერ, ვეროპის ორჯერ და მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც აჯერ, მეორე წელიწადია, თავისი წარმატებების „კოლექციას“ ზრდის. გიხაროდნენ პატარა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ჩვენი მიწა-წყალისაა, აქა აქვს ფეხვებ და მასში ჭეშმარიტად ქართული სისხლი ხში-ანობს – თავისი სიტყვა თქვას საქართველოს წარმატებებში, თავისი პატარა ხელებით ერთი აჯეროს დაღოს მსოფლიოში საქართველოს სახ-ელის გატანის საქმეში.

წარმატებები დაგებუდოდეს, ჩვენო პატარა თანაქალაქელო!

### ფეხბურთი

## ნიონეილიდან ლატვიის „სკონტოლე“



ცნობილი ფეხბურთელსა და მწვრთნელ რეზო ძიუძაშვილთან ერთად.

ლევანდარული ფეხბურთელის ილია დათუნაშვილის მიბაძვით წყაროსთაველმა გივი დათუნაშვილმა თავის უმცროსი ვაჟი ფეხბურთის შესასწავლად სოფელში გახსნილ ფეხბურთის გუნდში მიიყვანა. – ვნახოთ და სისხლსა და გენებს კიდევ ვმ-იღვა დათუნაშვილების პატარა შიამოშავალი... 8-9 წლის იქნებოდა მაშინ ლადო, როცა მწვრთნელ გელა ხერხელაშვილთან პირველად მივიდა სოფლის სტადიონზე სერიოზული ფეხ-ბურთის შესასწავლად, თორემ, მანამდე, ვინ იცის, რამდენჯერ უგორავდებოდა თანატოლებთან ერთად ბურთი საქონლისა და ფრინველებისაგან გადა-კორტინდ მინდორზე.

– ნინოწმინდაში მაშინ ფეხბურთის შემსწავ-

ლელი ორი ასაკობრივი გუნდი არსებობდა. მე ძირითად 1983-84-85 წლიანთა გუნდს ვავარჯიშებ-დი, – იხსენებს გელა ხერხელაშვილი, – ამ გუნდ-ში ყველაზე პატარა მოთამაშე ლადიკო იყო, რო-გორც მოფერებით ვეახდით მას. მართალია, მას თავისი დიდი თანამოგვარის გენები არ დაჰყო-ლია, მაგრამ თავიდანვე დამჯერი იყო და მუშა-ობა არ ეზარებოდა, რამაც ხელი შეუწყო მის წინსვლას ფეხბურთში. ჩემი ამ გუნდში მუშაო-ბის პერიოდში მონაწილეობა გვაქვს მიღებული კახეთის სხვადასხვა პირველობებში, „კოკო-კო-ლას“ პრიზზე, სიჭაბუკის თასის გათამაშებაში, ოჯახური პრობლემების გამო ჩემი ამ გუნდიდან წამოსვლის შემდეგ, ლადო სათამაშოდ „გარე-ჯოში“ გადავიდა, მწვრთნელ გოგა მათაშვილთან, რომელიც პატარების გუნდს წვრთნიდა.

„გარეჯოს“ შემდგომ დამწვევმა წყაროსთაველ-მა ფეხბურთელმა თბილისის 35-ე საფეხბურთო სპორტსკოლაში გადაინაცვლა, სადაც მთავარ მწვრთნელად „გარეჯოს“ ყოფილი მოთამაშე ვადერი კობახიძე იყო, უშუალოდ კი სოსო სირ-აძესთან უხდებოდა ვარჯიში. ამ გუნდში ჩამოყ-არებდა როგორც მარჯვენა ფლანგის ნახევარმ-ცველი.

სოსო სირაძედან შემდეგ „ლოკომოტივის სკოლაში“ გია ქვეთარაძესთან გადაინაცვლა,



სადაც I ლიგის გათამაშებაში იღებდა მონაწ-ილეობას, ცოტა ხნის შემდეგ კი უმაღლესი ლიგის გათამაშებაში მონაწილე თბილისის „მერანში“ გადავიდა (მწვრთ-ნელი როგორც ვადერი) შემდეგი გუნდი, სადაც მან თამაში დაიწყო, ცხ-ინვალის გუნდი (მწვრთნელი კობა ქორეიკაშ-ვილი) იყო, საიდანაც ლატვიის „დაუგავაპილს-ში“ მიიწვიეს. მათამაშევი აქვს ნისტრუსა და მოლდოვაში. ნიშინარე წლის თებერვლიდან კი კიდევ ერთხელ შეიცვალა ადგილსამყოფელი და ლატვიის „სკონტოში“ გადაინაცვლა, რომელიც ამ ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული და ტიტულო-ვანი გუნდია და მონაწილეობას იღებს ვეროპის ლიგის გათამაშებაში.

როგორც ჩვენთან ლატვიიდან წყაროსთავეში ახლახან „სტუმრად“ ჩამოსულმა ვლადიმერ და-თუნაშვილმა აღნიშნა, „სკონტოში“ მის გარდა კიდევ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი – ირაკლი კლიმიანიშვილი და ლაშა დვალი თა-გამოხდნენ. მის წინაშე არის უკეთეს გუნდში გადასვლის პერსპექტივები, თუმცა ამ ეტაპზე „სკონტოში“ თამაშს ამჯობინებს.

წარმატებები ვესურვოთ ჩვენს ფეხბურთელს ცხოვრებასა და საფეხბურთო კარიერაში.

გივი დაბაძიშვილი

# „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა, საცხებელითა მხიარულ-ყოფად პირი, და პური გულსა კაცისასა განამტკიცებს“

## კონცა

**საახალწლო სუფრა** მრავალფეროვანია. ქართულ სუფრას ყოველთვის ამშვენებს საცივი, გოზინაყი, ხაჭაპური. ბოლო დროს მას პიცაც შეემატა. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს საახალწლო სუფრის დასამშვენებლად.

### პროცინაჟი

### საცვივი



საჭირო მასალა: თაფლი – 600 გრამი, ნიგოზი – 1 კგ, შაქარი – 1-2 სადილის კოვზი

- საჭირო მასალა: ინდაური – 1 ცალი
- ნიგოზი – 1 კგ
- ხახვი – 250 გრამი
- უცხო სუნელი – 1 სადილის კოვზი
- ყვითელი ყვავილი – 1 ჩაის კოვზი
- მიხაკი – 1/4 ჩაის კოვზი
- დარიშინი – დანის წვერით
- ხმელი ქინძი – 1 სადილის კოვზი
- ნიორი – 2 კბილი
- წმინდად გაცრილი სიმინდის ფქვილი – 1 სადილის კოვზი
- პურის ფქვილი – 1 ჩაის კოვზი
- მარილი, წითელი წიწკა – გემოვნებით

მოამზადეთ ინგრედიენტები: ინდაური, დარიშინი, უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, წითელი წიწკა და ყვითელი ყვავილი. ნიგოზი 2-3-ჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. მოხარშეთ ინდაური ღუმელში შებრაწეთ და საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით. წვრილად დაჭრილი ხახვი, ინდაურის ბულიონიდან მოხილ ცხიმში მოშუშეთ. თუ ბულიონი ნაკლები ხომიანია, კარაქი დაუმატეთ. სანელა, ბლუმი, დანაყილი ნიორი და ნიგოზი ერთად ზილეთ ხელით, სანამ ზეთი არ გამოიყვანოს. ზეთი შეინახეთ. ნიგოზის მასას შეურიეთ სიმინდისა და პურის ფქვილი, ცოტა ბულიონი და ბლენდერში ათქვიფეთ. უნდა მიიღოთ თხელი არაყის სისქის მასა. ნიგოზიანი მასა ბულიონში ჩაახსოთ და 5-10 წუთი ადუღეთ, დაუმატეთ ინდაურის ნაჭრები და კიდევ ერთხელ წამოადუღეთ. მიირთვეთ ცივად.



შეშინდეთ, უბრალოდ დარწმუნდით, რომ ძალიან მშრალი არ იქნება და ცხობისას არ დასკდება; თუ თხელი ფირფიტა გიყვართ, შეგიძლიათ აფუჭებული ცომი სასურველ სისქემდე გააბრტყელოთ, მაგრამ ფრთხილად, არ გაიხსეს.

**როტორ უნდა გეპირთ ცომი**  
გლუტენის წარმოქმნაში თქვენი ხელის სითბო დაგეხმარებათ, ამიტომაც გირჩევთ, ცომი ხელთ მოხილოთ და არა მიქსერით. ცომი წინასწარ მომზადებულ ტაფაზე გადაიტანეთ; თითის წვერებით ცომი ისე გააბრტყელეთ, რომ ოდნავც ჩაიხსიქოს და ცხობისას ტომინგი არ გადმოვიდეს.

**ტომინგი**  
პიცას პირველად უმეტესად ტომატის (პამიდურის) სოუსს უსვამენ. სოუსი კარგად გაანაწილეთ ცომზე; შემდეგ ცომზე მოაწვეთ პიცის ინგრედიენტები. რამდენიმე წუთი დააყოვნეთ და შედგით აირლუმელში გამოსაცხობად.

**ტომინგის მომზადება**  
1 სუფრის კოვზი ზეთის ზეთში 2-3 წუთის განმავლობაში მოშუშეთ სოკო, შემდეგ ზედმეტი ზეთი გადაწურეთ, დამატეთ ოხრახუში, ნიორი და ქურდინი გადმოვდეთ. გამზადებულ ცომზე სოკო ისე გაანაწილეთ, რომ ირგვლივ 1 სმ სივანის ცარიელი ადგილი დარჩეს. მოაყარეთ შავი პილპილი და მარილი, ზევინიან მოაპყარეთ დარჩენილი ზეთი, გამოაცხეთ პიცა 10-15 წუთის განმავლობაში, სანამ ოქროსფერი და ხრახუნა გახდება. გირჩევთ სუფრაზე მიიტანოთ ცხლად. ტომინგში სოკო შეიძლება ჩაანაცვლოთ ყველით, ხორცი, ძეხვით, ხოსიხით.



# შობა-ახალი წლის ტრადიციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში



**შობა და ახალი წელი** ის დღესასწაულებია, რომელსაც მსოფლიოში დიდი სიხარულით აღნიშნავენ, თუმცა ყველა ქვეყანას თავისებური წესები და ტრადიციები აქვს. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება კულინარიულ ტრადიციებზე.

ქართული საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტებია საცივი, გოზინაყი და ჩურჩხელები. საინტერესოა, რა კერძები ამშვენებს სხვადასხვა ქვეყნის საშობაო თუ საახალწლო სუფრას?

**შობა უამრავ ქვეყანაში ყველაზე საყვარელ საოჯახო დღესასწაულად ითვლება, აღამიანებისა და ახლობლების ერთად შესაკრებად.**

**გერმანელები** შობის დღესასწაულს განსაკუთრებულად აღნიშნავენ. დიდი ხნის განმავლობაში ღორის ხორცი საშობაო სუფრის მთავარი კერძი იყო, რომელსაც მოგვიანებით ფარშირებული ინდაურიც დაემატა. გერმანული ტრადიციის მიხედვით საშობაო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს პატარა ფხვიერი ნამცხვრები, რომელთაც ნაძვის ხის, ვარსკვლავის, თოვლის პაპის ფორმა აქვს და ვანილის, დარიშინის, ილის სურნელს აფრქვევენ. მთავარი საშობაო დესერტი მაინც შტოლენია – წაგრძელებული ფორმის არომატული ნამცხვარი, რომელშიც ჩირქული, ნუში, ქიშმიში, რომი, სანელებლები შედის და შაქრის პუდრითაა დაფარული. ეს ნამცხვარი ყრმა ქრისტეს სიმბოლოა.

### გელბიასა და ლუსემბურგ-

**ში** შობა წარმოუდგენელია დარიშინიანი თაფლაკერის გარეშე, რომელთაც სხვადასხვა პერსონაჟის ფორმა აქვთ. სუფრას აუცილებლად ამშვენებს შემწვარი ბატი. ახალი წლის დღეს ბელგიაში მიირთმევენ ტრადიციულ შუკრუტს: მუავე კომპოსტოს კერძს, რომელსაც სხვადასხვა სახის ძეხვეულსა და ხორციან ერთად ამზადებენ.

**ბულგარეთში** სუფრაზე უნდა იყოს შვიდი, ცხრა ან 12 სახის კერძი, კვირის შვიდი დღის, ორსულობის 9 თვისა და წელიწადის 12 თვის აღსანიშნავად. აცხობენ პურს „ბოგოტა პიტას“, რომელშიც აყოლებენ პატარა მონეტას. ბულგარელების რწმენით ამ მონეტის მპოვნელი მთელი წელი ბედნიერი იქნება.

**ღანიასში** აუცილებლად ცხვება პატარ-პატარა საახალწლო ხრახუნა ნამცხვრები, სუფრას სხვადასხვა კერძებთან ერთად აუცილებლად ამშვენებს თევზეული, განსაკუთრებით კი ქაშაყი.

**შსაანეთის** კულინარიული ტრადიციები საკმაოდ მრავალფეროვანია მისი პროვინციების მიხედვით, თუმცა საშობაო საახალწლო მენიუში შედის შემწვარი ცხვრის ბარკალი, ზღვის პროდუქტი და ინდაური. საშობაო სადილი, როგორც წესი, შუალამემდეგ მთავრდება, რადგან თითქმის ყველა ჩქარობს ოჯახთან ერთად შუალამის წირვაზე დასწრებას. ტკბილეულიდან ყველა ესპანურ სუფრაზე შეხვედებით ტურონს; ეს არის შოკოლადის ან ნუგას სახეობა, რომელშიც ამოვლებულია თხილეული, სხვადასხვა ჩირი, პეპროვანი ბრინჯი და ა.შ.

ძველად, ესპანური ტრადიციის მიხედვით, მეზობლები ერთმანეთს ზეთის ზეთით, ღვინოთ, თხის ყველით, ნუშით, ძეხვეულით სავსე კალათებს უძღვნიდნენ. დღეს ასეთი კალათები ყველა ესპანურ მალაზიაში იყიდება.

**ფინურ** საახალწლო სუფრას ზღვის პროდუქტები ამშვენებს: ორაგული, ქაშაყი სხვადასხვა სოუსით, ხიხილალა. დესერტად კი ზღვის ვარსკვლავის ფორმის ნამცხვარს ამზადებენ. საახალწლო სუფრის დეკორაციად ხშირად იყენებენ უნგრეთის დროშის ფერებს: წითელს, თეთრსა და მწვანეს. მთავარი კერძი თევზია, ხოლო დესერტად ხაშაშინასა და ნიგოზიან ნამცხვარს ამზადებენ, სადაც ყაყაჩო ერთობისა და ქორწინების სიმბოლოა, ნიგოზის დახმარებით კი მომავალს წინასწარმეტყველებენ.

**იტალიურში** შობა წარმოუდგენელია ტრადიციული პენეტონეს გარეშე. მისი მრავალი სახეობა არსებობს: კრემიანი, შოკოლადიანი, ჩირქულით და ა.შ. ეს ნამცხვარი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მზადდება იტალიაში. რეგიონების მიხედვით მრავალფეროვანია ტკბილეულიც. სიცილიაში წარმოუდგენელია დღესასწაული ტრადიციული ტურონის გარეშე. ეს ესპანური ტურონის აქაური ვარიანტია. ტოსკანაში პანფორტეს ამზადებენ. ეს არის ნუშით, ჩირქულით, ციტრუსით და თაფლით მომზადებული ტკბილეული.

**კოლანდიაში** საახალწლოდ ინდაურს, ბატს ან კურდღელს ამზადებენ. ტკბილეულიდან კი დარიშინიანი ნამცხვრებია

პოპულარული.

ტრადიციული **კოლონური** მენიუ გულისხმობს სოკოს სუპს, ხორცეულს, სხვადასხვა გულსართიან ღვეზელს, ყაყაჩოს თესლისგან დამზადებულ ნამცხვრებს და 12 სხვადასხვა ხილის კომპოტს, 12 მოციქულის პატისაცემად.

**ბრიტანული** საშობაო სადილის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია შემწვარი ხორცი, ინდაური ან ბატი. საშობაო პუდინგი კი ტიპური ინგლისური დესერტია.

**შვედური** საშობაო სადილი ტრადიციული ცივი კერძებით, სმორგასბორდით იწყება: აქ შედის დამარიანებული ქაშაყი, პაშტეტი, სხვადასხვა სახის ძეხვეული. დესერტად მიირთმევენ რძეში მოხარშულ სანელებლიან ბრინჯს. ტრადიციული შვედური სასმელია გროგი – სანელებლიანი ცხელი ღვინო ქიშმიშითა და ნუშით.

**შპარიული** საშობაო სუფრაზე ძირითადად მარცვლეულისაგან დამზადებული კერძები, ხილი, ბოსტნეული და თევზეულია წარმოდგენილი. მაგიდაზე აუცილებლად უნდა იყოს ხორბლის თავთაყი და სამი ერთმანეთზე დაწეობილი სხვადასხვა ზომის საშობაო პური, რომელიც წმინდა სამებას განასახიერებს. რა თქმა უნდა, სუფრას აუცილებლად ამშვენებს მრავალნაირი უკრაინული ღვეზელი და ვარენიკი.

დამდეგი ახალი წლის შემობრძანებას ეწევათ ჩვენი გაზეთის აქტიური და ერთგული მკითხველებს, მათ ვინც თვალყურს ადევნებდა თითოეული ნომრის გამოცემას, ვინც გვეხმარებოდა, ვინც გულშემატკივრობას იჩენდა. მადლობა მათ ყველას.

ახალ წელს ეწევათ და მადლობას გუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობას, საქართველოს პარლამენტის წევრს თინათინ ხიდაშელს, დეპუტატის ბიუროს – მხარში დგომისა და დახმარებისათვის, გაზეთისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

„გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

### მელოცვა

\*\*\*

საგარეჯოს რაიონში დასაქმებული სკოლის ყველა პედაგოგებს, ყველა მუშაკს, საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, სკოლის მოსწავლეებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდაზე დასაქმებულ ყველა მუშაკს გულთადად ეწევათ და მადლობას გუხდით თინათინ ხიდაშელს და ვუსურვებთ მათ მხნეობას, ჯანმრთელობას, ბარაქასა და დიდ წარმატებებს თავიანთ პირადსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაე, ახალი წელი მხოლოდ სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს ყოველი ჩვენგანისათვის.

ღრმა პატივისცემით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის სახელით

რომან ზუბაპიშვილი

\*\*\*

დამდეგ ახალ წელს და დაბადების დღეს ეწევათ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ზიანაშვილს! ვუსურვებ ჯანმრთელობას და სიკეთეს, წარმატებებს როგორც პირად, ასევე, საზოგადოებრივ საქმიანობაში, მინდა მადლობა გადავუხადო, რადგან მან წარმადგინა მრჩეველად გენდერული თანასწორობის საკითხებში და მომცა შანსი ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს გამოსავლენად.

პატივისცემით

თამარ შრულავაშვილი



### 2014 წლის პრიორიტეტების გასაცნობად



საქართველოს პარლამენტის წევრს, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაკორტარი დეპუტატის თინათინ ხიდაშელის შეხვედრები მოსახლეობასთან.

### ხსოვნა

#### ლემსო თულავილი

რა ბედნიერი ვიყავი, ლემსო 9 იანვარს.

შენ იყავი ჩემი პირველი სიხარული, ჩემი პირველი ლამაზად გემამტებო და ყოველი წელი ახლა კი რა, 9 იანვარს 9 წელი ხდება, რაც დედა-შვილს ერთმანეთი აღარ გვინახავს მას შემდეგ, ყოველი წელი მწარედ ემატება ერთმანეთს, მენატრები, შვილო, მინდა ისევ შენს მოყვრებაში გავლიო ეს ყველაზე ლამაზი წლები ცხოვრების, მაგრამ სად ხარ შვილო?! ნუთუ ეს 24 წელი იყო საკმარისი ჩვენი დედა-შვილობის?! რა ბედნიერი ვიყავი, პირველად რომ დამიბახე „დედა“ და რა უბედური, პირველმავე რომ ჩააცვი შავი კაბა დედას. ცივია შეილო ჩვენი გული და კედლები უშენოდ, ისევე როგორც ცივია შენთვის შავი მიწა. მენატრება შენი ლამაზი ნაბიჯები და სუნთქვა, რომლის ხიფა და გაგონება დედას აღარ ეღირსება, მანამ, სანამ შენთან არ იქნება. ძნელია გაუძღვინო დედა შეილის მიწაში ყურებას და ამის შემდეგ კი შეხედოს და მოეფეროს შენს ორეულ შვილს, რომელიც 3 თვის დაუტოვე დედას და უკვე 9 წლის გაიხდა. მან ხომ სურათების იქით არ იცის, რა არის მამა. რით ვანუგეშოთ მეუღლე – შენი ცოლი, რომელმაც ვერც კი გაითავისა შენთან ყოფნის ამბავი და რომელსაც წელიწადისა და 10 თვის შემდგომ საშუალოდ დაეკარგე. მწარეა იმაზე ფიქრი, თუ როგორ შევხვდებით ახალ წელს და 9 იანვარს, როდესაც მოვევლინე სიხარულით ამ ცხოვრებას. დავიდალე ლოდინით და ნატრით – როდის დადგება ის დღე და წამი, როდესაც ჩაგხვდები და გაგთბობ სიკვდილისგან გაყინულ გულს. ჩემთან ერთად იტანჯება მამაშენი და შენი ერთადერთი საფიცარი და, რომელსაც სიხარულით იფიცებდი და შენი დისშვილი, რომელიც გიგონებს და გეფერება სურათებში. დაბადების დღეს გილოცავ, შვილო, შენ ახლა 33 წლის გახდები!

დედა

### წუთისოფლის ქუჩაში

## „რა მალე დაგბერებულვარ, ნეტარ, სადა და როდისა?!“

### მშობლიური რაიონის იმეათიანე

86-ე ხამთარს მითვლის იანვრიდან, თუმცა ასაკით უფრო მეტისაა, რადგან დასაბამიდან იცნობს საქართველოს ჭირ-ვარამიან ათასწლეულებს, საუკუნეებს, მის ავბედით დღეებს და ამავე დროს ცოცხალი მატთანა რაიონის, თავისი მშობლიური კუთხისა. მასთან საუბარი საინტერესოა, იმდენად საინტერესოა, რომ დროს შეგრძნობას დაგაკარგვინებს, ნელ-ნელა გადაგაფურცლებს რაიონის წარსულის დღეებს. საკუთარი ფეხით აქვს შემოვლილი, ჩამუხლული იმ საღვთო ადგილებთან, გადამიყვლება პირისაგან მიწისა რომ ვერ შეძლებს აღგვა. თითოეულის სახელი იცის, თითოეულის საბრძოლველს ჩაყრის წელს დაგისახელებთ. განა არის კი საგარეჯოს რაიონში სოფელი, გარი, მისი წარმოშობა და წარმომავლობა ზეპირად არ გადმოსცეს?! უამრავი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოკვლევების ავტორი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ორიენტალისტი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე, შრომის ვეტერანი... ყოველდღე ელოდება ყველაფერ ქართულზე, საგარეჯოზე გულშემატკივარს – იქნებ მხოლოდ თაბახის ფურცლებს არ შემორჩეს მისი ნაშრომნაღვაწი და მომავალ თაობას გადაუშალოს წინ „ვისი გორისანი“ არიან და რა ევალებათ მათ წარსულისა და მომავლის წინაშე. რამდენიმე წლის



წინ მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ მისი წიგნი „საგარეჯო“ გამოსცა, ახლა კი ახალი წლის დღეებში პატარხეულელი სპონსორისა და საგარეჯოს საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელების ხელშეწყობით ახალ წიგნს „პატარხეული“ მიიღებს მკითხველი... რედაქციაში ხშირად გვსტუმრობს და სიხარულით გვაგვიხიარა – ნინოწმინდელმა მთხოვეს, იქნებ ნინოწმინდის ისტორიაც დაგვიწერო... შემოსნის კარებს, თბილად მოგვიკითხავს, ჩამოიმუხლებს და გვეტყვის: „შემეკითხეთ, დამეშურეთ, სანამ ცოცხალი ვარ, არ მინდა ჩემი ცოდნა ჩვენი რაიონის ისტორიის შესახებ უქმად



დაიკარგოს... ან თაბახის ფურცლებზე ჩაწიკ-წიკებულ ხელნაწერს შემოგვთავაზებს... ბოლო დროს მეუღლე კარნახით უწერს – თავად ბატონი ალექსანდრე მხედველობას უჩივის. ერთად მოდიან პატარხეული ალექსანდრე ელერდაშვილი და საგარეჯოელი ელისო გილაშვილი აგერ 60 წელიწადია. ერთად გაზარდეს, დააფრთიანეს ორი ვაჟი, ერთად ააშენეს ორი სახლი – ორივე ვაჟისთვის და შვილიშვილებსაც შეხაროდნენ, მაგრამ, ჯერ პატარა შვილიშვილი გაუფრინდათ ანგელოზით, შემდეგ კი ოჯახის ბურჯი, უფროსი ვაჟი, მამასავით განათლებული, მამის პროფესიის მიმდევარი, ისიც აღმოსავლეთმცოდნე უკეთურთა ხელით გამოესალმა წუთისოფელს. დღესაც დაეძებენ სამართალს შვილმკვდარი მშობლები, დღესაც მოელიან მკვლელის გასამართლებას, მაგრამ... მას შემდეგ წლები წლებს მისდევს, ნაღველი ნაღველს ემატება... ერთ დროს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, რომელიც სახელმწიფოდან უამრავი შედეგებით სარგებლობდა, დღეს „სათნობის სახლის“ ბენეფიციარია, სასოებით შეჭურვებს მეუღლისა და თავის პენსიას, რომელიც რამდენიმე თვით ადრე აქვს გახარჯული... ექვსწლიან ოჯახს და თანაც უმუშევრებს – არსებობა სჭირდებათ...

### „გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru